N Fac 9372
642
5-40

№ XXI

ქუთაისი
1906 -ჯ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	ნუ აჯავრებთ ბატებს (რუსულიდან) შ. მდგომელისა.	3
II	სპილოს გამჭრიახობა—ამბავი	5
III	მშობლის სიყვარული—ამბავი.	6
IV	კატის დლიური თარგმანი ეკ. მ—სა	7
V	მზისგან დაწუნებული ხელმწიფის შვილი ზღაპარი (დასასრული)	15
VI	საბრალო ლამურები (ბოგდანოვისა) ან. წ—სა	21
VII	წერილმანი: ანდაზები, გამოცანები და სხვანი	29
VIII	მოვარის მოგზაურობა სურათი მეხუთე—ანდერსენისა (გერმანულით) ა. უუმასთაველისა	31
X	უგულო ბავში. მოთხ. მონგომერისა (გაგრძელება) ელ. წერეთლისა	33
XI	სახელ-განთქმული პოეტი მეზღაპრე (დასასრული) ან. წერეთელისა.	43
XII	შიო ჩიტაძე ნეკროლოგი	52
XIII	წერილმანი: შარადა, გამოცანა	56

641
ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამოვა 1906 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი დღეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ლონის-ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს ჯეჯილის ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა-და-სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

643
899·962·1(05)
ს1-40
ეროვნული ბიბლიოთეკა
937ქ.
1333

ᲙᲔᲙᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑᲘᲐᲜᲘ

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ

იხარდეს, შეგვანე ᲙᲔᲙᲘᲚᲘ,
დაპურდი, გამდი ᲧᲐᲜᲐᲗᲘ..
ი. Ჭ.

№ III

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲩᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲤᲘᲚᲘᲠᲘ

მწერალთ-მბეჭდავი ა. ვ. ქუთათელაძისა., მოსკოვის ქუჩა, № 5.

1906

644

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ აჯავრებთ ბატებს.

მაწვილებო, ნუ აჯავრებთ
ცუდ უბრალოდ საიებსა,
თორემ ცუდ დღეს დამართავენ
თქვენისთანა ბაიებსა.

ერიხელ ჩვენი ცელქი ია,
როცა სახლში ბრუნდებოდა,
ის გზა და გზა ეშმაკობდა,
ცუღლუტობას უნდებოდა.

ტბაოფშნის პირად გაიარა,
ბატები რო სძოვდნენ ბალახს;
მან ხან ჯოხით წასჩხიკინა,
ხან ესროდა ლამს და ტალახს.

გაგულისდნენ, გაკაპასდნენ,
მორთეს წყრომა ეიეინითა;
გამოუდგნენ შემკრთალ იას
ფრთა გაშლილნი სისინითა.

დაეწივნენ, უწეეს კბენა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხებსა და ვაზებშია,
ოკრო-ბოკრო დახტის ბიჭი
გეგონებათ ვაზებშია.
ტირილით და ბღრიალითა
ღობეს ეცა ჩვენი ია...
და ის ბატებს ვეღარ ერჩის
სწორედ იმ დღეს აქეთია.

შ. მღვიმელი

(რუსულიდან)

გოგონა მწყემსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილოს გამჭრიახობა.

რთი კაცი სპილოს კარტოფილით ჰკვებავდა. თვითონ სპილო ერთმევდა პატრონს ხელიდან თავის საკვებს.

ერთხელ ერთი კარტოფილი გადავარდა იატაკზე, თუმცა შორს არ იყო, მაგრამ სპილომ თავის ხორთუმით დიდ ხანს ვერა გზით ვერ აიღო. ბოლოს შეუბერა ისე ძრიელათ, რომ კარტოფილი ეცა კედელს და უკან ისე წამოვიდა, რომ სპილოს ადვილათ მისწვდა და აიღო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოოგლის სიყვარული.

ერი კუნძულზედ ცხენები სძოვდნენ. ერთბაშათ წყალი კუნძულზე მოვარდა. ცხენებს შეეშინდათ, ახვიხვინდენ უბედურობის ასაცდენათ მაღლობ ადგილზედ უველამ ერთად თავი მოიყარეს, მაგრამ წყალმა აქამდინ მიაღწია, რომ კვიცებს ზურგამდის აუვიდათ. ცხენებმა არ იცოდნენ, როგორ გადაერჩინათ თავიანთი შვილები. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს კვიცები ზურგზედ შეისვეს. ცხენები ექვსი საათის განმავლობაში წყალში იდგნენ, სანამ წყალი არ უკუვარდა.

ამნაირად გადარჩნენ უველანი.

696

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატის დღიური.

უ კი ადამიანები თავიანთ დღიურს სწერენ, მე კი განა არ შემიძლია ჩემი თავგადასავალი ავწერო! მე ძალიან ბევრი საშინელი ამბავი შემეთხვევა ხოლმე. მერწმუნეთ რომ ჩემი თავგადასავალი ბევრათ უფრო საუკურადღებოა, ვიდრე ის, რასაც ანიკო სწერს ხოლმე თავის დღიურში. დღეს მაგალითათ შევხტი ბავშვების სასწავლებელ მაგიდაზე და აი ანიკოს დღიურში რა წავიკითხე:

„რვის ნახევარზე ავდექი, ვისაუზმე, ფორტოპიანზე დავუკარი, მერმე სასწავლებელში წავედი, თორმეტ საათამდის ვიმეცადინე, ვისეირნე. სადილათ შემწვარი ხორცი და ბრინჯის პუდინგი ვჭამე“.

— აბა ვნახოთ ეხლა, გუშინ მე რა გავაკეთე!

„სამზარეულოში გამომეღვიძა, ჯერ კიდევ სიამოვნებით ვიზმორებოდი, როცა მზარეულმა ქალმა დარაბები გააღო, სამზარეულოში მას მურია შემოჰყვა.

მე მურიას მივესალმე, მინდოდა მეკითხა, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაატარა ღამე. იმ უზრდელმა კი დამიღრინა და ჰირი მომარიდა.

ეტეობა რომ მურიაც ისეთივე უზრდელია, როგორც მეეზოვეს ძალლი, თუმცა კი მარწმუნებდა რომ ის შორეული ნათესავია, მე კი მგონია, რომ ღვიძლი და უნდა იყოს. მე, რასაკვირველია, იმისი—სრულიად არ მეშინიან და კიდეც დავუმტკიცე. ამდენი ვიხტუნე და უკანა ფეხებზე ვიტრიალე იმის ცხვირ წინ, სანამ მურიამ კბილები არ დამიკრიჭა და სამზარეულოდამ არ გაეკარდა.

„ნეტაი შენ, რომ არ გეზარება მაგისთანა ჩაშავებული და ჩამტვრეული კბილების გამოჩენა, მიეაუვირე მე.

მაშ რა მექნა? თამაშობის ქეიფზე ვიყავ!

დავინახე მზარეული ქალის მაფის კოჭი, გავიქანე, თათით დავაფურინდი, ის გაგორდა, მე უკან გავეკიდე. რამდენჯერაც კი თათს წავეარავდი, იმდენჯერ ის გაგორდებოდა. ბოლოს ზანდუკის ქვეშ შეეკარდა, მეც შეეშვი, მაგრ[illegible] იქ იმოდენა მტვერი იყო და სიბნელე, რომ ვეღარ ვიპოვნე.

ვინ იცის, როგორ გაჯავრდება მზარეული ქალი, როდესაც თავის მაფს ვეღარ იპოვნის. მე კი, რასაკვირველია, დიდებულათ მაღლა ფეჩზე ვიჯდები და თავს მოვიკატუნებ, თითქოს დიდი ხანია რაც კოჭის და მაგგვარ რამეების თამაშობას თავი დავანებე.

ზანდუკის ქვეშიდამ რომ გამოვმვერი, ნაღების სუნი

647

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცა, უთუოთ აქ ახლო სადმე იქნება ნაღებითქო. დასუნვა დავიწყე, ვნახე მაგიდაზედ ქალბატონისთვის ეავაა მომზადებული: ფინჯნები, ეავადანი და სარძეკვე დგას. უთუოთ ამ სარძეკვეში უნდა იყოს ნაღები, ვიფიქრე მე.

შევხტი სკამზე, სკამიდან მაგიდაზე, სარძეკვე მართლაც ნაღებით იყო სავსე.

ნეტა რისთვის უკეთებენ სარძეკვეს მისთანა ვიწრო ჰირს!

როგორც კი სარძეკვეში თავი ჩავუავი, მზარეული ქალის ფეხის ხმა მოესმა. მინდოდა სჩქაროთ სარძეკვიდან თავი ამოძეძრო, მაგრამ ის გადმობრუნდა და, ნაღები სულ ერთიან დაიღვარა, სარძეკვე კი მაგიდიდან გადმოვარდა და დაიმტვრა.

მე ეზოში გაქცევა მოვასწარი, მზარეული ქალის ეკირილი შესმოდა:

— ოჰ! რა იქნა ის საძაგელი კატა, სად გაჰქრა? მე იმას ვუჩვენებ სეირს, ერთი დავიჭირო!

მე, რასაკვირველია, უფრო შორს გავიქეცი; აკი მურია არ შემზვდა!

— შენ, ქალბატონო, ნაღები რად მოიპარე? დამილრინა მან.

— ნაღები? რა ნაღები?

— ტუულად უარს ნუ ამბობ, ყელ-ყური ნაღებში გაქვს ამოთუთხნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო! მე მარტო ცოტათი აკლოკე.

— აკლოკე განა, უფუოთ მზარეულმა ქალმა მოგასწრო და გამოგაგდო, თორემ ქალბატონს ერთ წკეთსაც არ დაუტოვებდი.

მე ჰასუხის მიცემა ვეღარ მოვასწარი, ეზოში მზარეული ქალი დავინახე. რაც ძალი და ღონე მქონდა გავიქეცი და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როდესაც ხეზე ავცოცდი.

აქ კი ვეღარ მომწვდება, ჩემსაკით ოთხი ფეხი და ჩემისთანა კლანჭებიც რომ ჰქონდეს, ძალიან მსუქანია! ხეზე ჯდომა ძალე მომწყინდა.

ვიფიქრე: მოდი, წავალ ბავშვებს გავართობ, ისინი მზარეულ ქალს არ მაცემინებენ.

ხიდამ ჩამოვედი და ჩუმ-ჩუმათ ბაღში შევიპარე, ვხედავ ბავშვების სასწავლებელი ოთახის ფანჯარა ღიაა, შევხტი ფანჯარაში.

ანიკო და ვასო სწავლობდნენ, ვასომ დამინახა და ანიკოს ფეხი წაჰკრა. ანიკომ თავი მაღლა აიღო, შემომხედა და გაიღიმა. მე კი უკანა ფეხებზე დავდექი და ბუზებს ჭერა დავუწყე. ბავშვებმა გაიცინეს.

„რას იცინით? ჰკითხა მასწავლებელმა ქალმა, განა არ იცით რომ გაკვეთილის დროს სიცილი არ შეიძლება! ბავშვები ერთი წუთით დაწუნარდნენ, მაგრამ მე ისე,

648

ვმასხრობდი და იმათ წინ ვხტოდი, რომ ბავშვებმა თავი ვეღარ შეიკავეს და გადიხარხარეს.

— ერთი საათით დაგამწყვდევთ ოთახში, თუ სიცილს თავი არ დაანებეთ, დაუყვირა მასწავლებელმა.

— კატა გვაცინებს, უთხრეს ბავშვებმა.

„რა კატა, სად არის კატა! მასწავლებელმა მაგიდას ქვეშ შეიხედა.

— აი ეხლა ფანჯარაში იჯდა, სთქვეს ბავშვებმა.

მე კი დიდიხანია ფანჯრიდამ ბაღში გადავხტი და იქ ერთ ბუჩქს უკან მივიმალე.

მასწავლებელმა ფანჯრიდან გადმოიხედა

— „არსად არი კატა, სთქვა მან,— ეს ტეუილად მოიგონეთ.

მეტი აღარაფერი არ გამიგონია, რადგან ერთობ შორს გავიქეცი.

* *
*

რომ იცოდეთ, დღეს რა საოცარი ამბავი დამემართა! გამოვიღვიძე, ვხედავ მაშო ოთახის დალაგებას აპირებს, გამეხარდა, ვიფიქრე, ეხლა კი ბევრს ვისტუნებ და ვითამაშებთქო! უკან გამოვეკიდე. მაშომ ოთახის დაგვა დაიწყო გრძელ ტარიანი ცოცხით, მე დავუწყე ცოცხს თამაში, რამდენჯერაც ის აიქნევდა ცოცხს, იმდენჯერ ზედ შევახტებოდი. ოჰ, რა მხიარულათ ვიყავი? მაშოს ჩემი თამაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ბა ძალიან მოსწონდა, ბევრს იცინოდა, მაგრამ როდესაც საათს შეხედა ცოტათი მოიწყინა. „კარგი, გეყოფა ციცუნია, კმარა, წადი, დამეკარგე აქედან, მითხრა მან.

— ნურას უკაცრავათ, გაგიფიქრე. მე ჯერ კიდევ მინდოდა თამაშობა და ცოცხს უკან გამოვეკიდე. მაშინ გაჯავრდა და ფეხი ჩამკრა. მე მეორე ოთახში გავარდი.

იქ ჰატარა მაგიდა იდგა, ზედ ფოჩებიანი სუფრა ეფინა.

ერთ ფოჩს მოვკიდე თათი და მეორეებმაც ქანაობა დაიწყეს. ეს ისე მომეწონა, რომ მაგიდას ვეღარ მოეშორდი და ფოჩებს ვსწევდი და ვწევდი.

უცბათ სუფრა ძირს გადმოცურდა და თან რაღაც ცუთი გადმოჰყვა. ეუთი გაიხსნა და აუარებელი ნივთები დაიფანტა: ბეჭდები, გულის ქინძისთავი, საუურეები. მინდოდა ერთი ბეჭედი მეაინც დამეჭირა, მაგრამ ამდროს მაშინ ფეხის ხმა მომესმა და ფარდის უკან დავიმალე.

„აი, შე საძაგელო, კატავ, დაიუვირა მაშომ და ნივთების აკრეფა დაიწყო. ამ ხმაურობაზე მეორე ოთახიდან ქალბატონიც გამოვიდა.

ახლა კი აქ უბედურება რამე დატრიალდება, ვიფიქრე და ერთ წამს მეორე ოთახში გავარდი, მერე იქიდან სამზარეულოში და იქ კუიხეში მივიმალე.

ჰატარა ხანს უკან მაშო თვალცრემლიანი შემოვარდა სამზარეულოში და უამბო მხარეულ ქალს, რომ მე ნივთე-

649

ბის ეუთი გადმოვაგდე, და როცა ნიეთებს ვკრეფდი, ქალ-ბატონი შემოვიდა, დახედა ნიეთებს, ნახა რომ ერთი ბეჭედი აკლდა და მე ქურდობა დამაბრალა.

„ბევრი ვეფიცე, რომ ეუთი კატამ გადმოაგდო მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა და დამითხოვა სახლიდან. ახლა რა მეშველება, სად ვიშოვნი ადგილს, ის ეველას ეტეეის, რომ ქურდი ვარ.

* * *

მას აქეთ, რაც მაშო დაითხოვეს, მურია სულ მიჯავრდება და მიღრენს: იმახის, რომ მე ავი, საძაგელი კატა ვარ, რომ ჩემი ბრალია საწყალი მაშოს დათხოვნა და რომ ჩემი გულისთვის მასწავლებელმა ბავშვები დასაჯა.

მაგრამ რა ვუეოთ, ხომ მარტო მურია იმახის, რომ მე საძაგელი და ავი ვარ. სხვები კი ამბობენ, რომ მე კოხტა და ლამაზი ვარ. დღეს კიდევ სტუმრათ ერთი ქალი მოვიდა, კალთაში ჩამისვა, მშვენიერ ციცუნიას მეძახოდა და მეალერსებოდა, დიასახლის სთხოვდა მაჩუქებ-მე კიდევ მჰირდებოდა ბევრ ნაღებს ვაჭმევ და თბილათ ლოგინში ჩაგიწვენო.

* * *

გუშინ ანიკოს და ვასოს დეიდა ეწვია. როგორც ეტეობა დიდი ვინმე უნდა იეოს, ჩვენი დიასახლისი კარებში მიეგება და ბარგის ატანასაც კი შველოდა, უთუოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან მდიდარია! რომ იცოდეთ რამოდენა ბარგი აქვს! თან მოიტანა გალია ორი ჩიტით. სულელები უნდა იყვნენ ეს ჩიტები, სულ ერთ ლატანზე სხედან! ამბობენ რომ ეს ჩიტები უერთმანეერთოთ ვერ იცოცხლებენო. ნეტარი თუ მართალია? რა კარგი იქნება ვცადოთ და ერთმანეერთი გავაშოროთ.

*
* *

გუშინ იმდენი ვიტრიალე ამ დეიდას წინ, მინამ არ შემამჩნია.

„რა ლამაზი ციცუნიაა, სთქვა მან და მომიალერსა. — მოგწონთ განა, უთხრა დიასახლისმა და ცხვირსახოცი ამიქნია. მეც, რასაკვირველია, მაშინათვე მივირბინე და ცხვირსახოცს თამაშობა დავუწყე. დეიდა აღტაცებაში მოვიდა და იმდენი იცინა, რომ ხველებაცოკი აუტეხა.

(დასასრული შემდეგ)

ეკ. მ—ხა

650

მზისაგან დაწუნებული ხემწიფის შვილი.

(დასასრული)

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ღამით მოვიდა სანახავათ ხემწიფის შვილი თავისს ცოლთან და თავისებურათ შესძახა:

— ქალო, როგორ შენ და შენი ძეო?

— ეხლა მეც კარგადა ვარ და შენი ძეცაო,—უპასუხა ქალმა.

შეკიდა, დაჭეო რამოდენიმე საათი ცოლშვილთან და მერე, როცა წასვლა დაუპირა, ცოლმა კალთა დაუჭირა და აღარ უშვებდა.

— გამიშვი, წავიდე, თორემ გათენება მომისწრობს, დამეძინება და ვეღარ გამოვეხიზლებიო,—ესვეწებოდა ხემწიფის შვილი.

ცოლმა არ გაუგონა. ზედ დატანებაზედ მელოგინეს სანახავათ ხემწიფე და ხემწიფის ცოლიც შემობრძანდნენ. ამ მელოგინესთან რომ მოულოდნელათ თავისი მზისაგან დაწუნებული შვილი ნახეს, პირკატა ეცათ—არ იცოდნენ, სიზმარში ჭხედავდნენ ამას თუ ცხადივ. ბოლოს, როცა დამშვიდდნენ, შვილი მოუყვა, თუ როგორ მოხდა იმათი ცოლ-ქმრობა. დედ-მამა შვილის ნახვაზე დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ ნასიამოვნები დარჩნენ, ცოლ-შვილიანობაც მიულოცეს და მათი მოვლა-ზრუნვაც აღუთქვეს. მხოლოდ ახლა ისინი აუტეხნენ:

— გინდა თუ არა, აქ უნდა დარჩე, შენი წასვლა არას გზით არ შეიძლებაო.

შვილი ბევრს ეხვეწა, ბევრს ემუდარა, მაგრამ მაინც არ გაუშვეს. ამასობაში კიდეც გაუთენდა. ხემწიფის შვილმა დაიძინა და ველარც გამოიღვიძა. დაჭეურებდნენ თავზე მამა, დედა, ცოლი; დაჭეურებდნენ დღეს, ხვალ, ზეგ,— იმას კვდარიგითა სძინავს, ველარ გაუღვიძებიათ. ფიქრობენ, ფიქრობენ—ვერა უშველიათ-რა. დაიწყეს ტირილი. ტირიან, რას ტირიან, რომ იმათი საცოდაობით ქვეყანა ივსება.

ამ ეოფაში რო არიან, ერთ ღამეს ამ ქალს ძილის დროს ისევ თავისი დედა გამოეცხადება და ეტყვის:

— რას შესცქერი ტუილ-უბრალოთ, ადე, წადი, ამა-და-ამ მინდორზე შეგხვდება ერთი ირემი, რომელსაც რქები ცისთვის მიუბჯენია, ჰირი დედამიწისთვის დაუბჯენია და ბალახის მოძოვა ველარ მოუხერხებია; დგას ისე, მშიერ-მწყურვალი და ელის თავისს მხსნელ-მშველელს. მიდი იმ ირემთან, ადი იმის რქებზე და ახვალ მზესთან,-შენი ქმარი ქალის წყევით არის დაძინებული და მხოლოდ მზისგან გაიგებ მაგის მორჩენის წამალსაო.

ქალს გაეღვიძა, ადგა და წავიდა. მიდის, მიდის და

შემოეყარნენ გზაში ბებრები. ბებრებს ბლომათ კვერცხები უძოვიათ და შენახვას-კი ვერ ახერხებენ, ცელის ჰირზე ალაგებენ, ცელის ჰირიდგან უკარდებათ, ემტვრევათ და ვერა უშველიათ-რა. ქალი რომ დაინახეს, ჰკითხეს:

— ვინა ხარ? რა საქმეზედ მისდიხარო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე,-მიუგო ქალმა,-ეხლა მზეს-თან მივალ და იქ მინდა ვიკითხო ჩემი ქმრის ბედიო.

— მაშ ჩვენი ბედიც იკითხე მზესთან. გაგვიგე ჩვენ რაღა გვეშველება და დავიცდით, სანამ უკან დაჰბრუნდე-ბიო,-უთხრეს ბებრებმა.

— კარგიო,-მიუგო ქალმა და წავიდა.

მიდის, მიდის და გზაში ახლა გუთნის დედები შემოე-ყარნენ. გაუკეთებიათ მთლად ხის გუთანი, ხისავე ბარსა-კვეთით, შეუბამთ საქონელი, მოხვნა სწადიათ და ვერ მოუხერხებიათ. ფიქრობენ, ფიქრობენ და ვერა მოუგვარებიათ-რა. ქალი რომ დაინახეს, ჰკითხეს:

— ვინა ხარ? რა საქმეზედ მისდიხარო?

ქალმა უპასუხათ:

— ასე და ასეა ჩემი საქმე და ეხლა მზესთან მივდი-ვარო.

— მაშ ერთი ჩვენც გაგვიგე რამე, მოხვნა გვინდა და ვერ მოგვიხერხებიაო.

ქალი ამათაც პასუხის მოტანას დაჰპირდათ და გაუდ-გა გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა იმ მინდორზე. ნახა ირემი, რქები ცისთვის მიუბჯენია. მივიდა და ირმის რქებზედ რომ ასვლა დაიწყო, ირემმა ჰკითხა:

— ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? რა საქმეზედ მისდიხარო?

ქალმა უპასუხა:

— ასე და ასეა ჩემი საქმე და მზესთან მივდივარო.

— მაშ ერთი მეც შემიტეე, ხომ ჭხედავ ჩემ უბედურებას—რა დღეში ვარ, მე რაღა მეშველებაო?-შეეხვეწა ირემი.

— კარგიო დაჭპირდა ქალი და ავიდა მისს რქებზედ. მიაღწია ცას და მიაგნო მზის ბინას. მზე შინ არ დახვდა. შინ რომ შევიდა, მზის დედა დაინახა და უთხრა.

— თუ მიშველი რასმე შენ, თუ არა და, ჩემი შვილა არავის არ შეუძლიანო.

— რა არის, რა გაგჭირებიაო?-ჰკითხა მზის დედამ.

ქალმაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო: თავის საქმისაც, ბებრებისაც, გუთნის დედებისაც და ირმისაც. მზის დედამ უთხრა:

—აბა მე როგორ უნდა გიშველო, შენ აქ ჩემი შვილის სიცხოვლეს ვერ გაუძლებ, დაიწვებიო.

ქალი შეწუხდა, მაგრამ არ მოეშო. იმდენი ეხვეწა, იმდენი, რომ მზის დედა დაიუოლია. ამან ქალს შეულოცა,-ნემსათ აქცია და ეს ნემსი იქვე ბოძში გაუკეთა.

მზე რომ მოვიდა, დედამ ჰკითხა:

— მითხარ, შვილო, რა ხდება დაბლა ქვეყანაზედ, რა ამბებია?

მზემ მიუგო:

— ეხლა მე სალაპარაკოთ სადა მცალიან, დავიღალე, მთელ ქვეყანას გარს შემოვუარე, დასვენება მინდაო.

დედა მაინც არ მოეშვა, იმდენი ეხვეწა, იმდენს გადაეკიდა, რომ ძილი დაუფთხო და ლაპარაკი დაუწყებინა. მოუყვა მზე და სულ სათითაოდ უამბო იმ თავისი დაწყეველილი ხემწიფის შვილის ამბავიც, იმ ბებრებისაც, გუთნის დედებისაც და ირმისაც.

— მაშ რა ეშველებათ ეხლა იმ უბედურებსაო?- ჰკითხეს დედამ.

მზეც მოუყვა:

— იმ ჩემ დაწყეველილ ხემწიფის შვილს ჩემი ჰირის ნაბანის მეტი ვერა იხსნის-რაო; იმ ბებრებმა უნდა კალათები დაწნან და კვერცხები იმაში ჩაალაგონ; იმ გუთნის დედებმა რკინის ბარსაკვეთი უნდა გააკეთონ; იმ ირემმა, რაც ძალა და ღონე აქვს, თავი უნდა გაიქნიოს და რქები დასცვივდეს.

იმ ღამეს ამითი გაათავეს ლაპარაკი და დაიძინეს.

მეორე დილით, მზემ რომ ჰირი დაიბანა და ქვეყნათ წავიდა, დედამ იმისი ჰირის ნაბანი ცალკე შეინახა, შეულოცა ნემსად გადაქცეულ ქალს და ისევ ქალათ აქცია; მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მზის ჰირის ნაბანი, უამბო, როგორ უნდა მოქცეულიეო თავის ქმრის შესახებ, რა ჰასუხი უნდა ჩაეტანა სხვებისთვის და გამოისტუმრა.

მოდის ქალი გახარებული. ირმის რქებზე რომ ჩამოვიდა, ირემმა შესძახა:

— აბა რა გამიგე, რა ამბავი ჩამომიტანეო?

— რაც ძალი და ღონე გაქვს, თავი გაიქნიე, რქები დაგცვივა და ნაშველი შეიქნებიო,—უპასუხა ქალმა. ირემმა თავი გაიქნია, რქები დაიერეინა და დაიწყო თავისუფლათ ნავარდობა.

მერე მივიდა გუთნის დედებთან. იმათაც დაბარებული გადასცათ. შემდეგ ბებრებთან მივიდა, იმათაც ასწავლა ნაშველი. ბოლოს, მივიდა თავის სახლში. მიიტანა მზის ჰირის ნაბანი, აჰკურა მძინარე ქმარს, გამოაფხიზლა და იმ დღიდგან დაიწყეს ტკბილათ და ბედნიერათ ცხოვრება.

ჭირი იქა,
ლხინი აქა;
ქატო იქა,
ფქვილი აქა;
თხლე იქა,
და ღვინო აქა.

(წარმ. ან—მანისაგან)

653

საბრალო ღამურები.

ესათუოთ გენახებათ ღამურები. იქნება წუხელისაცა ნახეთ! იქნება იმ დღეებში გინახავთ, ან შარშან ზაფხულს მაინც! გახსოვთ, დიდი სიცხის შემდეგ, აივანზედ რომ ჩაის შეექცეოდით. რა მშვენიერი საღამოიუო. ცოტ-ცოტა გარშემო ეველაფერი მიწუნარდა: ბელურები და კაჭკაჭები ჩაჩუმდენ. ქათმებმა მიიძინეს, გაუთავებელი ზაფხულის დღის სიცხემ ეველა დაღალა, ცხოველებმაც მონახეს თავთავიანთი ბინა. მეტადრე ვინც შუშაობით მოიქანცა. მაგრამ ეველა არ მუშაობდა, ბევრ ცხოველს მთელი დღე ეძინა სადმე კუნჭულში მიმალული, სადაც სინათლე არ მიეკარებოდა, ესენი განცხრომაში იევენ. ახლა, როდესაც მზე ჩავიდა, დაბინდა, დაღამდა, მაშინ ღამის მუშაკნი გამოცოცდნენ თავთავიანთ კუნჭულებიდან და თითო-თითო გავიდენ სანადიროთ, დავლის მოსანახათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უფურეთ რამდენი ჰეჰელები, ოვარვანები და მუმლი ეხვევა სანთელს. დახეთ, ეოველ წამს ემატება. არც ერთი მათგანი არ გვინახავს დღისით, იმიტომ რომ ეძინათ. უფურეთ, ეს რა არი! თითქოს ჰაერში რაღაც ჩრდილი გამოჩნდა და მაშინვე გაქრა. თქვენ თითქოს შეკრთდით კიდეცა! დახეთ, კიდევ გამოჩნდა. ხომ აგიხსნეს რომ ეს ღამურაა, უსათუოთ დაუმატებდენ კიდეც, რომ ეგ ბოროტი და საძაგელი ცხოველია, რომ თმაში წვდება ეველას და უტრიალებს გარშემო იმათ, ვინაც თეთრი ტანისამოსი აცვია, გამოტუდით რომ მას აქეთ ღამურასი გეშინიანთ და გეზიზღებიან. თქვენ კი არ იცნობთ მაგ ცხოველს, იქნება ნახვითაც, მხოლოთ დახატული გინახავთ.

მე სულაც არ მიკვირს, რომ ღამურა აგრეთი საშიშია თქვენთვის და აგრე გეჯავრებათ. მისადმი ზიზღს ადამიანი ჩამომავლობით ერთი მეორეს გადასცემს ხოლმე. დიდი ხნის დროიდან, ეველა ქვეყნების ხალხს, სადაც კი მოიპოვება ღამურები, არ უყვართ ეს ცხოველები, რაგინდ რა უცნაურ ზღაპრებს არ მოგიყვებიან მათზე და უწეალოთ დევნიან ამ უბედურებს. მაგრამ გონიერი კაცი უნდა ლმობიერათ მოეკიდოს ეოველ ცხოველს, რომელიც ჩვენთან ცხოვრობს, თორემ არ იქნება შესაძლო მათი შესწავლა. თქვენ ხომ არ გიყვართ ღამურა და გეშინიანთ კიდეც იმათი, თუმცა იქნება ახლოს არცკი გენასოსთ ეგ ცხოველი; მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ღამურა სულაც მავნე-

654

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი არ არი, პირ-იქით დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის.

ეგ სწორეთ უცნაური ცხოველია, მეცნიერთათვისაც კი ძნელი გამოსაცნობია. ღამურა ბალნით არის შემოსილი, შვილებს რძით კვებავს, მაგრამ სულ არა გავს სხვა ბუმბ-ძწოვართა ცხოველებს! მთელი მისი ტანი მოკუმშულია მუშტის ტოლათ, მოკლე, უმრავ ველზე პატარა თავია მობმული, პატარავე მძიმისტოლა თვალებით და დიდრონი ყურებით. ყურები ტიტველი აქვს და მისი ნაპირები კუწუბებიანი არის, შიგნით კი ყურთა სმენის დოლაბთან არის ერთი გრძელი ოალათინი, რომლის მსგავსი არაფერი აქვთ ბუმბ-ძწოვარ ცხოველებს, ამას საკუთარი სახელი აქვს და ამითი საჭიროებისამებრ იხურება დოლაბი. ღამურას უკანა ფეხები მოკლე აქვს, თითებიც მოკლეა და დიდრონი მოკავებული ბრჭყალები აქვს.

ყველაზე საყურადღებოა ღამურაში მისი წინა ფეხები, ისინი ფრთებათ არის გადაქცეული: იმისი ძვლები გაწეული და გაგრძელებულია, ხოლო დიდი თითი შეუცვლელია და მოკაკული ბრჭყალებით თავდება, დანარჩენი ოთხი თითი საშინლათ გაწეულია და ბრჭყალებიც არა აქვს. მეორე თითიდან დაწყობილი თითებ-და-თითებ შუა გაბმულია გაჭიმული წმინდა ფარდი, მაგვარიეე ფარდი არის, გაბმული მეხუთე თითის უკანა მხრიდან მთელ წინა ფეხზე სხეულის გვერდამდის და უკანა ფეხამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანა ფეხებიდან დაწყებული კუდამდის აქვს კიდევ გაბმული ფარდი. აი ეს ფარდი არის ღამურას ფრთა, როდესაც ის გასჭიმავს ფარდს და დაიწყებს გაჩქარებული წინა ფეხებით ე. ი. ფრთებით მუშაობას, მაშინ ღამურა ჰაერში დაფრინავს; მარჯვეთ და თამამათ მიდი-მოდის. ფრენაში არც ერთ მერცხალს უკან არ ჩამოურჩება. რაც შეეხება ბეღურას—ის, რასაკვირველია, ვერ აჯობებს ღამურას მოხერხებულ და ჩქარ ფრენაში.

ღამურას შეუძლიან დიდ ხანს და შეუსვენებლივ ფრენა ისე, როგორც მერცხალს. თუ დაიღალება, უკანა ფეხებით მიეკვრება ხის ტოტს, სახლის სახურავს, ღობეს და ისე ჩამოეკიდება თავქვე. გაივლის წუთი, დაისვენებს და ისევ გაფრინდება, გაქრება ჩვენი მხედველობიდან ღამის სიერცეში—თითქოს მოჩვენება იყოფოო.

საკვიერეთ, როდესაც ის დედა-ძიწაზეა, ხმელეთზე—ღამურასავით საცოდავი არსება ძნელი წარმოსადგენია: ძლივს მიცოცავს, ფრთის დიდ თითზე და უკანა ფეხებზე ებჯინება ხოლმე. ღამურა ისე ნელა დაიარება ხმელეთზე, რომ კუ აჯობებს მას სიარულში.

როგორც ფრინველებს ღამურას აქვს ჰაერში საფრენათ მოწყობილი სხეული და ეს იმათ ძალიან ამახინჯებს, გრძნობის ორგანოებიც კი ამ საცოდავებს დამახინჯებული აქვთ. დაატყერდით სხვა ძუძუ-მწოვარ ცხოველებს—ცხენს, ძაღლს, ძროხას. იმათ ყურები მოძრავი აქვთ, თვალები

ნათელი და ბრწყინვალე ტუჩები. რბილი და ნესტოები განიერი აქვთ. ეველა ეს აძლევს ცხოველს გონიერულ გამომეტყველობას. მათთან შედარებით ღამურა საცოდავი მახინჯი რამ არის!

თვალები პაწაწკინტელა აქვს, როგორც პაწაწა მძივები, მათში არავითარი გამომეტყველობა არ არი, მოკლე ბლაგვი დინგი აქვს განიერი ცხვირით, პირი ეურებამდის გახეული. ეურები! ამ გვარი ეურებიდან ღმერთმა ეველა დაიფაროს! რომელი ვირის, ან კურდღლის ეურები შეედრება ღამურას ეურებს? ერთი სიტყვით ღამურას სახის გამომეტყველობა ეველას ზიზღს მოჰგვრის. ეს ცხოველი არაეისთვის სასიამოვნო არ არის.

ნუ გგონიათ რომ ღამურას დინგი შემთხვევით აქვს ასე მოწყობილი. სულაც არა. ეს მხოლოთ მაგალითს გვიჩვენებს, ცხოველი როგორ ბუნებას ეთვისება. ღამურა ღამის მუშაკია, ამიტომაც იმისი გრძნობის ორგანო მოწყობილია ღამეში სამუშაოთ. თვალები საჭირო არ არი მისთვის, ამიტომაც უცნაურათ დაუპატარავდნენ. ერთ გამოჩენილ იტალიელ სწავლულს სპალანცანს უნდოდა გამოეცადნა ღამურების თვალთა მხედველობა. დაიჭირა ბლომათ ღამურები, ზოგი სულ დააბრმავა, ზოგს თვალებზე ფისი დააკრა და ისე გაუშვა ოთახში საფრენათ. იქ გაბმული და გასლართული იყო ბაწრები, ზორნები, კანაფის ძაფები და სხვა. ღამურები სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრმავებულებიც კი არც ერთხელ არაფერს არ მოედნენ, თუმცა ოთახში ისეთივე სიჩქარით ფრინავდენ, როგორც გარეთ—არც ერთი მათგანი არ მიეჯახა ფანჯარას.

რად მოხდა ასე? ეს მოხდა იმიტომ, რომ მათი ეურთა სმენის ორგანო ისეთ საუკეთესო წარმატებაში არის, რომ არც ერთი სხვა ცხოველი არ შეედრება მას. რაც უნდა მცირე ხმაურობა გაისმოს ღამის ჰეჰელისა, ან ჰაწაწა ბუზანკალისა, ღამურას ესმის ძალიან შორიდან. მისი ეურთა სმენა ისე გრძნობიერია, ისეთი ნაზია, რომ მნელი ასატანია მისთვის დღისით რომ ხმაურობაა. ამიტომაც ღამურა რომ დღითი იძალება, ეურის დოლაბს მარაოსავით დაჭკეცავს, რომ თალათინიდან არ შევიდეს რაიმე ხმაურობა.

ბნელაში მოძრაობისათვის მარტო ეურთა სმენა არა კმარა. ღამის წუვდიადში შესაძლოა ადვილათ მიაწუდეთ ხოლმე რაიმე მაგარ საგანს, ამიტომ ღამე, როდესაც დავფეთურობთ, ხელებსა ვშლიით, რომ თუ საწინამდეგო რამე დაგვიხვდება წინ დროზე ავაცდინოთ თავი. ღამურა კი ისე სწრაფათ დაფრინავს, რომ ჩვენსავით ვერ მოახერხებს, თუ რამე შეხვდება, დროზე აიცდინოს, მაგრამ იმას ეხმარება ეურთა სმენასთან ერთად შეხების გრძნობაც.

ღამურას ფრთა გასაოცარი და საუკეთესო შეხების გრძნობაა. ფრთის კანისა და კანს შუა არის ჰრტყელი,

წმინდა, გამჭვირვალე ნაჭერი, რომელიც რეზინისაგით იჭიმება, ზედ სახეებია სისხლის ღერეების ტოტებისაგან მშვენივრათ გამოუვანილი. კიდევ ზედ თეთრათ ნერვების შტოებია გაუვანილი. რაც უნდა კაი მიკროსკოპით შეხედოთ, ვერ დაინახავთ სად და რა ადგილას თავდება ეს თეთრი ძარღვები. მაგრამ ღამურა, როდესაც ჰაერში იქნევს ფრთებს, მშვენივრათ ეხება და შინჯავს უველა საგნებს შორიდანვე. ისევე კარგათ, როგორც ჩვენ შევეხებით ხელმე თითებით. ამის ახსნა ძალიან ადვილია.

ჰაერი მოქნილი სხეულია. როდესაც ხელს აიქნევთ, ჰაერი თავისუფლათ მოძრაობს იქით, საიდაც ხელი გაიქნიეთ, თუ რომელიმე მაგარი სხეული წინ დაუდგა, მაშინვე უკუვარდება, როგორც რეზინის ბურთი და ისევ ხელს აწყდება. თუ ხელში არის შეხების გრძნობა, მაშინ ადვილათ საგრძნობელია ჰაერის უკანვე დაბრუნება. მაგის გარდა, როდესაც ჰაერი შეეხება მაგარ სხეულს, სხეული მოდის მოძრაობაში, აქეთ-იქით ირხევა, გააქვს ხმაურობა, ხმაურობა კი რაც უნდა ოდნათ გაისმოდეს ღამურას უურამდის ადვილათ მიასწევს. ამიტომაც რაც უნდა წმინდა ბადე გაბბათ ჰაერში, ღამურა, რომელიც შურდულივით მიფრინავს არ ჩავარდება ბადეში თავისი უურთა-სმენის და ხელთა-შეხების წუალობით.

ღამურას აქვს კიდევ ენოსვის გრძნობა. საბჭრეთ ქვეყნებში—ეირიმიდან დაწეობილი—კავკავამდინ, საბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნეთამდინ და იტალიამდინ მთელი გუნდი ღამურებისა ცხოვრობს, რომლებსაც ემახიან ნალის-ცხვირას. ასეთი სასელი იმიტომ დაარქვეს, რომ ნალის დაგვარი კანის ნაკეცი აქვთ ცხვირ ქვეშ. ეს კანის ნაკეცი ზემოთა აქვთ აშვერილი და, როცა ღამურა ფრინავს უნოსვით ჰაერს იკრებს. სამხრეთი მდიდარია გემრიელი, ტკბილი და სურ-ნელოვანი ნაუოფით. ამ სურნელოვან ნაუოფს გარშემო ეხვე-ვა აუარებელი მწერი და რადგან ღამურები იკვებებიან მწერე-ბით, ესენიც მიეშურებიან საითაც სურნელოვანი ნაუოფი იზიდავს მათ და იქ ბლომათ ჰოულობენ დავლას. ჩრდი-ლოეთში სურნელოვანი ნაუოფი სულ ცოტაა, ამიტომ იქ არ ცხოვრობენ ნალ-ცხვირა ღამურები.

ან. წერეთელი

(დასასრული შემდეგ).

656

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი მერცხალისაგან).

ძმა ძმისთვისაო—შავი დღისთვისაო

—

თავის ქება—თავის აგდებაო.

—

ყვავი ჩხავის მამიდაო, გაიგცა და გაფრინდაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ნათარგმნი)

ორ მნათობ შუა მარტო ვზივარ.

—

ორი დედა, ორი შვილი, ბებია
და შვილი-შვილი, სულ კი სამნი არიან.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

ბნელს ოთახში შემიყვანეს,
დამიკეტეს შესავალი,
ჭერში აქვს მცირე ფანჯარა
ჩემის სუნთქვის ასავალი,
მე ბრმა ვარ და სხვას ვეჩვენებ
საით არის გზა სავალი.

შ ა რ ა დ ა

(მისგინგვე წარმოდგენილი)

ნახევარი საბელია
ცრუ პენტელა ნადირისა,
დანარჩენი რუსთ ენაზედ
გამოთქმაა უარისა,
მთელი სიტყვა—დამხმარია
ჩემი ჩუმის საუბრისა,
როდესაც გამოთქმა მინდა
ჩემი დარდის და ჭირისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა გამოიანგარიშო სხვის დაბადების დღე.

აბა, ჩანიშნეთ ვინმე თქვენი ნაცნობის დაბადების დღე, ვთქვათ ის დაიბადა 12 ნოემბერს. უნდა ეს რიცხვი გაამრავლოთ 3-ჯერ, მიუმატოთ 5. მიღებული რიცხვი კიდევ გაამრავლოთ 4-ჯერ. ამას უნდა მიუმატოთ დაბადების დღის რიცხვი ე. ი. 12. მიღებულ რიცხვს ხელ-მეორეთ მიუმატეთ რიცხვი—მერამდენე თვეც არის ე. ი. ნოემბერი მეთერთმეტე თვეა—მაშ უნდა მიემატოს წინანდელ რიცხვს 11. მიღებულ ამ რიცხვს უნდა გამოაკლდეს 20 და მიღებული ციფრა გაიყოს 13-ზე. მიიღებთ 12 და დარჩენილი 11 იქნება ის რიცხვი—მერამდენე თვეც არის ე. ი. 12 ნოემბერი.

გეოგრაფიული ჯვარი

ამ ჯვარში ჩასმული ასოები როგორ უნდა გადასვათ, რომ ორი ჩვენი ქალაქის სახელი გამოვიდეს?

ა ხ ს ნ ა

გამოცანისა: ძაღლი, წუმწუმა.

სახუმარო კითხვების ახსნა: I სველია II როცა სძინავს III მეთერთმეტეში ჩადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარის მოგზაურობა.

სურათი მეხუთე.

ანდერსენისა

ცივი ქარი საზარლად ზუზუნებდა. ღრუბლები გამალებით აქეთ იქით მისცურავდნენ. მე ხან ღრუბლებში ვიმალებოდი, განაგრძო თავის მოგზაურობის ამბავი მთვარემ, ხან თავს ვიჩენდი. ცის სივრციდან დავყურებდი გამალებით მიმცურავ ღრუბლებს, გარკვევით ვამჩნევდი, როგორ მიისწრაფებოდენ დედამიწის ზურგზედ დიდრონი ჩრდილები. შორი-ახლო შევნიშნე ერთი საპატიმრო. საპატიმროს კარების წინ იდგა შავათ ჩამოხურული ეტლი, რომლითაც უნდა წაეყვანათ პატიმარი. ჩემმა სხივებმა შეაშუქეს ფანჯრებიდან საპატიმროში და კედლებს სინათლე მოჰფინეს. პატიმარმა, საპატიმროდან გამოსვლის დროს, კედელზედ რამდენიმე ხაზი ჩამოხაზა, მაგრამ ეს ხაზები სიტყვებს როდილა შეადგენდენ. რაიცა პატიმარმა კედელზედ ჩამოხაზა, ეს იყო მისი გულიდგან წარმოხეთქილი ერთგვარი სულისკვეთება. კარები გაიღო. პატიმარი გარეთ გამოიყვანეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან უნებლიეთ ჩემს ბორბალივით რგვალს მოხაზულობას მოაპყრო თვალები. ღრუბლები გადამეფარნენ სწორეთ მაშინ, როცა არც მას უნდოდი დავენახე და არც მე მინდოდა დამენახა მისი პირის სახე. პატიმარი ჩასვეს ეტლში და კარები მიხურეს. მეეტლის მათრახმა ტკაცანი მოიღო და ცხენებიც ელვის სისწრაფით ხშირის ტყისაკენ გაეშურნენ. ეტლი ისე გამალებით მიჰქროლავდა, რომ სულ მოკლე ხანში დავკარგე თვალიდგან. მე ისევ ფანჯრებიდან საპატიმროში ვიცქირებოდი. ჩემი სხივები საპატიმროს კედლებზედ მოხაზულ პატიმრის „სულისკვეთებას", პატიმრის ამ უკანასკნელს „მშვიდობის" საგალობელს თავს დაქათქადებდენ.

საცა კი ამ საგალობელს სიტყვები აკლდა, იქ თვით კედელზედ მოხაზულობა მჭერმეტყველობდა. მხოლოთ ზოგი განცალკევებული მოხაზულობა ამცნებდა ჩემს სხივებს საქმის ნამდვილს ვითარებას, უმეტესი ნაწილი ამ მოხაზულობათა საუკუნოდ დარჩა ჩემთვის წყვდიადის ბურუსით მოცული.

სასიკვდილო საგალობელი იყო ის, რაც პატიმარმა კედელზედ ჩამოხაზა? თუ სასიხარულო საგალობელს შეიცავდა პატიმრის მიერ კედელზედ მოხაზულობა?

სასიკვდილოთ გამზადებული მიდიოდა პატიმარი, თუ გულითადის მეგობრის გულში ჩასაკრავად მიისწრაფოდა?

მთვარის სხივები გარკვევით ვერა კითხულობენ ყველა იმას, რასაც ზოგჯერ მომაკვდავნი სწერენ. პატარა მკითხველო! შენ მაინც სავსებით გაითვალისწინე პატიმრის უკანასკნელი „სულისკვეთება" საპატიმროს კედელზედ ერთგვარი მოხაზულობით გამოხატული!...

(გერმანულიდან)

ა. ყუმისთაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგულო ბავშვი.



(მოთხრობა მონგომერისა *)

ირჟინი გამოაღვიძა გრილმა ნიავმა, რომელიც გაღებულ კარებში შემოჰქიქინებდა. ის წამოჯდა ლოგინზე და მიიხედ-მოიხედა.

პირველი საგნები, რომლებმაც მისი ყურადღება მიიქცეს, იყვენ ორი პატარა სალამური პერანგი და შუა ოთახში დიდი სურა წყალი. ის წამოდგა, დარაბები გააღო და მხოლოთ მაშინ შენიშნა, რომ არც ერთი ბავშვი ოთახში აღარ იყო.

ძნელი წარმოსადგენია ის შიში და ის მწუხარება, რომელშიაც ის ჩააგდო ორი ცარიელი და მინგრეულ-მონგრეული ლოგინის დანახვამ! Grand Dieu!—წამოიძახა მან, შეიხედა ლოგინებ ქვეშ, ფარდებს უკან, შკაფში, ბავშვები სადმე ხომ არ დამალულანო. მაგრამ ბავშვები არსად ჩანდენ. მალე ვირჟინიმ შენიშნა, რომ არც ტანისამოსი იყო ოთახში არც ერთი ბავშის და კიდევ უფრო შეშინდა, გამოვარდა კარში, გადადგა კიბეზე და დაუწყო ძახილი: ჯორჯ! ვილლი! ვილლი! მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა.

*) იხილე „ჯეჯილი“ № II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც ტანთ არ ეცვა, ძირს ჩასვლა არ შეეძლო, ამიტომ ზარის წკარუნი დაიწყო. მოვარდა გოგო ჯენი; გამოდგა რომ არც მას ენახა ბავშები. გაიგო თუ არა, დაკარგულანო, მაშინვე დაირბინა მთელი სახლი, მაგრამ ვერავინ იპოვა.

ამ დროს ვირჟინიმ ძირს, იატაკზე, ვილლის თბილი ფუფაიკა დაინახა და სასოწარკვეთილებით ხელი ხელს შემოჰკრა.

—უთუოთ სადმე წავიდენ!—მოახსენა ჯენმა.—ბიბლიოთეკის და გარეთ გასავალი კარი ორივე გაღებულია.

—შეუძლებელია! შეუძლებელი!—წამოიძახა მწუხარეთ ვირჟინიმ.—წაღები არ ჩაუცვამთ. თხელი ფეხსაცმელებით ხომ ვერ წავიდოდენ გარეთ სარბენათ?

—წასულან კი!—ისევ გაიმეორა გოგომ.—მთელი სახლი დავათვალიერე, ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული, არსად არ არიან. ნეტავი ქუდები თუ მაინც წაიღეს?

ვირჟინი მივარდა ქუდის კოლოფს. კოლოფი ცარიელი დაუხვდა.

—ღმერთო ჩემო, ვილლი უსათუოთ გაცივდება; შემოიკრა მან თავში ხელი.—ხველებას დააწყებინებს, ყელი ჩასტკივდება! შეხედეთ, ჯენ, ფუფაიკაც კი არ ჩაუცვამს! ანთება მოუვა! მოკვდება!

ვირჟინიმ საჩქაროთ ჩაიცვა, წამოავლო თავის შლიაპას ხელი და გარეთ გავარდა.

—ეგერ არიან, ეგერ, ველზე!—დაიძახა ამ დროს ჯენმა, რომელიც ფანჯარას მიდგომოდა.

—ველზე! სველ ბალახზე ზიან!—ძლივს წამოიყრანტალა ვირჟინიმ, როდესაც შორს, ხის ძირში, ორი პატარა არსება დაინახა.—მოდით აქ! დაბრუნდით ახლავე!—დაიყვირა მან, თითქო ბავშებს შეეძლოთ იმ სიშორიდან მისი გაგონება: მერე წამოიგდო შალი მხრებზე და დაეშვა კიბეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები სახლში ბრუნდებოდენ როცა ვირჟინი მათ შუა გზაზე დახვდა. ვილლი უფროს ძმას ხელში ჩაფრენოდა და ფეხებს ძლივს მოადგამდა, ეტყობოდა ძალიან დაღალულიყო, ჯორჯს კი სახეზე თავისი ბედის და თავისი თავის სრული კმაყოფილება ეხატებოდა და ის დიდ ყურადღებას არ აქცევდა არც ძმის დაქანცულებას, არც ვირჟინის გაცხარებას.

— შეხედეთ ერთი! — წამოიყვირა მან და ჯორჯის კალათს ხელი სტაცა, მაგრამ ამ დროს შენიშნა, რა სველი ფეხები ჰქონდა ვილლის, როგორ აწითლებოდა მას ლოყები და უცებ გადაავიწყდა ყველა ის საყვედურები, რომლითაც ჯორჯს უნდა მივარდნოდა.

მან დასტაცა ხელი ვილლის, ჩაიკრა გულში და გაეშურა სახლისკენ.

ჯორჯი სირბილით გაჰყვა გვერდში.

ვირჟინიმ ვილლი ოთახში შეიყვანა და მაშინვე ტანთ გახადა. სასაცილო სანახავი იყო ვილლი, როცა ბლუზა გახადეს, ყველა ზორტები ერთ დიდ ნასკვათ ჰქონდა გამოკრული, ფოლაკებს ისეთ საფოლაკეებში ამოეყოთ თავი, სადაც უწინ თავის დღეში არ ყოფილიყვენ, დუგმები ისეთ დუგმებს შეხვედროდენ და გადაბმოდენ, რომლებიც უწინ არც კი ენახათ.

სანამდის ხდიდენ, ვილლი სულ ამთქნარებდა. ორჯელ-სამჯელ კიდეც დაცხინკვა და ამით ხომ სულ გადარია ვირჟინი.

— ღმერთო ჩემო, რა ბავშვები არიან! — უნებლიეთ წამოიძახა მან.

— ვილლის ნუ გაუწყრებით! — გამოექომაგა პატარა ძმას ჯორჯი, რომელიც ოთახის მეორე კუთხეში ჯენი პირს ბანდა. — მაგას არ უნდოდა წასვლა. მე წავათრიე.

ცოტა ხანს იქით ორივე პატარა ბოროტ-მოქმედი, სუფთათ ჩაცმული, დაბანილი და დაბარცხნილები. სტოლს უჯდენ და გემრიელათ საუზმობდენ. დასასჯელათ ვირჟინიმ მათ საუზმის დროს ინგლისური ლაპარაკი აუკრძალა და სულ ფრანგულათ ალაპარაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდათ გათავდა ასე კარგათ და მხიარულათ დაწყებული დღე! ნასაუზმევს დალალულ-დაქანცული ვილლი დასაძინებლათ დაწვა, ჯორჯი კი იქვე დასვეს და განძრევის ნებაც არ მისცეს, ძმა არ გააღვიძოო. მთელი დღე ვირჟინის არც ერთი ბავში ერთი წუთითაც არ მოუშორებია, ნასადილევს ყველამ ერთათ ცოტა ისეირნეს და სალამოს ადრე დაბრუნდენ სახლში.

სახლში დაბრუნდენ თუ არა, ვილლის ხველა აუტყდა. ვირჟინის ისეც საშინლათ ეშინოდა ხოლმე, როცა ვილლის მამის იქ არ ყოფნაში რამე მოუვიდოდა, ახლა ხომ სულ გადირია, მაშინვე ექიმზე გაგზავნა. ჯორჯი ძალიან შეაწუხა პატარა ძმის ავათმყოფობამ, მით უფრო რომ ვირჟინიმ უთხრა, ეს სულ შენი ბრალიაო; რამდენიმე ხნის განმავლობაში ის სრულ სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ როცა ექიმის კაბრიოლეტის ხრიგინი გაიგონა, ყველაფერი გადავიწყდა, ჩაირბინა კიბეზე და ისარივით გაჰქანდა ჭიშკრისაკენ ექიმის მისაგებებლათ.

— სალამო მშვიდობის, ექიმო? როგორ ბრძანდებით? — მიესალმა ის. — ოო! ახალი იარაღი გაქვსთ ცხენის! რა ლამაზია! რა კოხტაა!

— ახალი? ჰოო! ახალია! — მიუგო ექიმმა, რომელსაც აქამდის არც კი შეენიშნა, თუ მის ცხენს ახალი იარაღი ჰქონდა. — თქვენ ძმას რა მოუვიდა?

— სულ სოკოების ბრალია! — აუხსნა მან და ახალ აღვირს თვალიერება დაუწყო. — ნეტავი რამდენ ხანს დარჩება ასე ახალი და სუფთა?

— როგორ თუ სოკოების ბრალია? — წამოიძახა ექიმმა. ნუ თუ ისეთი სუსტი და ნაზი ბავში სოკოებით გახეთქეთ? აბა მუცელი სტკივა?

— არა; მგონი გული სტკივა! — უპასუხა ჯორჯმა, რომელიც ამ დროს ცხენს ეალერსებოდა. — რა კარგი ცხენია!

— სოკოებით გახეთქეთ ბავში!

ჯორჯმა მხიარულათ გადიხარხარა.

— მე უმ სოკოებზე გელაპარაკებით!—აუხსნა მან.

— როგორ თუ უმი სოკოები? ვინ აკბამა მერე უმი სოკოები?—მთლათ განცვიფრდა ექიმი.

— მერე ვინ გითხრათ რომ სკამა?—ისევ გადიხარხარა ჯორჯმა და ცხენს ხელი ჰკრა. ცხენმა იკვინტა.

— ფრთხილათ, პატარა!—წამოიძახა ექიმმა და ბავშს ხელი სტაცა-არ უნდა შეაშინო შავი ბობი, გახელდება.—აბა. ამიხსენი დალაგებით, რა დაემართა შენ ძმას? სოკოებმა გული როგორ აატკივა?

— სოკოებმა კი არ აატკივა!—მოუთმენლათ დაიწყო ჯორჯმა, რომელსაც საშინლათ აკვირვებდა ექიმის გაუგებრობა.—სულ ფუფაიკის ბრალია!

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა გაისმა და ამან ისევ მთლათ შეიპყრო ჯორჯის ყურადღება.

—შეხედეთ! შავი ბობი მიაჭენებს!—და ბავში გამოუსხლტა ექიმს ხელიდან და გამოუდგა ცხენს.—არ ვიცი ფუფაიკის ბრალი იყო, არ ვიცი ფეხსაცმელების.—შორიდან მოაძახა მან.—ძალიან გვეჩქარებოდა, ამიტომ მოხდა ყველა ეს!

ექიმი დარწმუნდა, ამისაგან ვერას გავიგებო. და ავიდა ზევით, სადაც ვირჟინიმ დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი. მან დაათვალიერა ავათმყოფი ბავში, დაამშვიდა ვირჟინი, უთხრა, საშიში არა არის რაო, მხოლოთ ურჩია, ორ-სამ დღეს ოთახიდან ნუ გამოუშვებთო.

წასვლის დროს ექიმმა ჯორჯი თავის კაბრიოლეტში ნახა. ჯორჯს ხელში აღვირი ეკავა და თითონ ატარებდა შავ ბობს წინ და უკან ეზოში, ბიჭი კი შორი-ახლოს დაჰყვებოდა.

V

ინგლისში სახელმწიფო საქმეებს განაგებენ ხელმწიფე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხისაგან არჩეული კაცების კრება, რომელსაც პარლამენტი ჰქვია. პარლამენტში არჩეულს კაცებს დეპუტატები ჰქვიათ. დეპუტატებს ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ ირჩევენ. არჩევნის წინ დეპუტატები საზოგადოთ თავის ამრჩევნებს, თავისი და ახლო მახლო სოფლების ხალხს, სადილათ დაპატიჟებენ ხოლმე, ძალიან გაუმასპინძლდებიან და თან აუხსნიან, თუ ისევ აგვირჩიეთ პარლამენტში, იქ ასე და ასე მოვიქცევით და ასე დავიცავთ ჩვენი კუთხის სარგებლობასო.

სერ ევერარდი დეპუტატი იყო. წრეულს მისი არჩევანი უნდა-ყოფილიყო და ამიტომ უმართავდა ის სადილს თავის ამრჩეველებს, რომლებსაც მან აბორიგენები დაარქვა, ჩარლსმა კი—ველური ხალხი.

—

პატარა ვილლი საშინლათ შეწუხდა რომ გაიგო, პარასკევს, როცა ჩვენსას სადილათ ველურები იქნებიან, მე ჩემი ოთახიდან ვერ გამოვალო. მას სანუგეშოთ ჯორჯი დაპირდა, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობო.

— უთუოთ ველურებიც იმას სჭამენ, რასაც ჩვენ!—უთხრა ძმას ჯორჯმა. ის დილიდანვე ხან სასადილო ოთახში დაძვრებოდა, ხან სამზარეულოში, ელოდა, უთუოთ რასმე უჩვეულოს და უცნაურს მოამზადებენ სადილათო, მაგრამ ვერაფერი უჩვეულო ვერ შეენიშნა.—სულ ისეთ საჭმელებს უმზადებენ, როგორც ჩვენთვის ამზადებენ ხოლმე!

— აბა უთუოთ პირველათ ჭამენ ჩვენსავით!—გადაწყვიტა ვილლიმ. ბავშებმა წარმოიდგინეს, როგორ გაუკვირდებოდათ ველურებს, ახალ უცნობ საჭმელებს რომ დაინახავდენ—დამხიარულათ დაიწყეს სიცილი და ხუმრობა.

სერ ევერარდი გვიან მოვიდა და პირ-და-პირ ვილლის სანახავათ შევიდა. მის და საუბედუროთ ისე მოხდა, რომ ჯორჯს ვერ-

შეხვდა, ჯორჯი ამ დროს ვირჟინის დახმარებით ველურებთან გასასვლელათ ირთვებ-იკაზმებოდა. სერ ევერარდსაც ძალიან ეჩქარებოდა, ამიტომ იმან საჩქაროთ დაჰკოცნა პატარა ვილლი და თითონაც ჩასაცმელათ წავიდა.

სტუმრები მოგროვდენ. სერ ევერარდიც გავიდა სასტუმრო ოთახში, გაიმართა საერთო ლაპარაკი და დავა. სახლის პატრონი ერთ აბრეშუმის ჟილეტიან კაცს ელაპარაკებოდა, სხვები ზოგი მათ ყურს უგდებდენ, ზოგი ერთი მეორეს ესაუბრებოდენ, როცა კარი ხმაურობით გაიღო და ოთახში შემოვიდა მოორთული და გამოკობტავებული ჯორჯი შავი ხაერდის ტანსაცმელში, თეთრ ჟილეტში და ლამაზ ცისფერ გალსტუკით კისერზე. შავი ხუჭუჭი თმა უკან ჰქონდა გადაბარცხნილი და მშვენიერათ ეხვეოდა თეთრ შუბლზე. დიდი შავი თვალები მხიარულათ და ცნობის-მოყვარეობით უბრიალებდენ... სტუმრები მობრუნდენ და აღტაცებით დაუწყეს ყურება ლამაზ ბავშს, ზოგმა ხელიც გაუშვირა ჩამოსართმევათ.

ყოველთვის ზრდილობიანი ჯორჯი მის მაგიერათ რომ ყველას მხიარულათ მისალმებოდა, კარებში შეჩერდა და ოთახი გაკვირვებით და წყენით მიათვალიერ-მოათვალიერა.

— ჯორჯ, თავის დაკვრა აღარ იცი?—სასტიკათ შეეკითხა სერ ევერარდი.

— მამა!—წამოიძახა ბავშმა წკრიალა ხმით, რომელიც გარკვევით მოისმა დიდი ოთახის ყოველ კუთხეში.—ველურები სად არიან?

სერ ევერარდს ელდა ეცა. მხოლოთ ახლა გაახსენდა ამას წინანდელი ლაპარაკი აბორიგენებზე და ჩარლსის სიტყვები ველური ხალხის შესახებ.

— რა ველურები, ჯორჯ? რამ გადაგრია?—ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა მან შვილს.—ინგლისში ველურებს რა უნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ რომ ამბობდი, მამა, გახსოვს?—მიუახლოვდა ჯორჯი სერ ეფერარდს.—რომ ამბობდი სადილათ ჩემთან პარასკევს აბო... აბო... მოვლენო.

— ამომრჩევლები?—გაახსენა სერ ეფერარდმა, რომელსაც თავიდან ფეხებამდის სიმწრის ოფლს ასხამდა. მის და საბედნიეროთ ჯორჯს სიტყვა „აბორიგენი" ალარ ახსოვდა.

— ჰო, ამომრჩევლები!—დაეთანხმა ის—თუმცა... რამდენადაც მე მახსოვს, ის სიტყვა „აბო"-ზე იწყებოდა. აბო...

სერ ეფერარდის პარლამენტში არჩევის საქმე კინკზე ეკიდა.

— როგორ წარმოიდგინე, რომ ინგლისში ველურები ცხოვრობენ!—საჩქაროთ შეაწყვეტინა მან შვილს ნაძალადევი სიცილით, რომელსაც სტუმრებმაც ბანი მისცეს.—რატომ მე არ მკითხე? მაშინვე აგიხსნიდი, რომ ეგ შეუძლებელია. რას არ მოიგონებს ბავში!—მიუბრუნდა ის სტუმრებს.

— ბავში აგრეა!—დაეთანხმა ერთი მათგანი.

— მაგრამ მაინც რაში წარმოიდგინა რომ თქვენსას ველურები მოვიდოდენ?—ჰკითხა მეორემ.

— ბავშს ხომ ყველიფერი საკვირველი და ზღაპრული უყვარს!—აუხსნა სერ ეფერარდმა.—რაც არ ესმისთ, რას ამბობენ უფროსები, თავის თავათ ხსნიან და ალამაზებენ...

მაგრამ სერ ეფერარდს თითონაც არ ესმოდა ამ წამს რას ამბობდა და რას ლაპარაკობდა. ის მიჩერებოდა ბავშის უკმაყოფილო სახეს და გული უსკდებოდა, კიდევ რამე არ იკითხოს ველურ ხალხზე და აბორიგენებზედო. მან დაუძახა ჯორჯს და უთხრა, წადი, დაიძინე. გვიან არისო.

სადილობამდის კიდევ ხუთიოდე წუთი იყო, და სერ ეფერარდი გრძნობდა, რომ ამ ხუთი წუთის განმავლობაში მისი პარლამენტში არჩევა ჯორჯის წყალობით დიდ განსაცდელში იყო. ის მოუთმენლათ მოელოდა იმ წამს, როცა ბავში ოთახიდან წავიდოდა, მაგრამ ბავშს, როგორც ჰგავდა, უნდოდა გამოესწორე-

662

ბინა თავისი წელანდელი უზრდელობა, და გადაეწყვიტა ოთახიდან ისე არ გამოსულიყო, სანამ ზრდილობიანობის ყოველ მოთხოვნილებას არ შეასრულებდა. ის მიუახლოვდა მსხვილ სტუმარს, რომელსაც მამა მისი ელაპარაკებოდა, ხელი ჩამოართვა და პატივისცემით „ძილი ნებისა“ უსურვა, თუმცა სტუმარი სრულებითაც არ აპირებდა ჯერ-ჯეროობით დაძინებას. მერე მეორეს მიუახლოვდა და იმასაც იგივე უსურვა.

— ვაი თუ ყველას ჩამოვლას აპირებს! — სასოწარკვეთილებით გადაავლო სერ ევერარდმა თავის სტუმრებს თვალი. სტუმრები ოცზე მეტი იყო.

ჯორჯს მართლაც ყველას ჩამოვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, და კიდეც მოიყვანა სისრულეში თავისი გადაწყვეტილება. ყველას ჩამოუარა. გაზეთს ჰკითხულობდა რომელიმე სტუმარი, თუ საინტერესო დავაში იყო გართული, თუ ოთახის სულ მოშორებულ კუთხეში იდგა—სულ ერთი იყო; ჯორჯი ოთახის მოშორებულ კუთხეში მიიმართებოდა, ერთს გაზეთისთვ-ს თავს ანებებინებდა, მეორეს დავას აწყვეტინებდა... აუცილებელი „ძილი ნებისა“ არავის არ დაჰკლებია, და ყველასკენ სათითაოთ ჯორჯი თავის პატარა ხელს ჩამოსართმევათ იშვერდა.

დიდ ხანს არ დავიწყებია სერ ევერარდს ეს ტანჯვის წუთები, როცა ის გულის კანკალით ადევნებდა თვალს ჯორჯის ყოველ ნაბიჯს და სიმწრის ოფლში იწურებოდა ყოველ სიტყვაზე, რომელსაც მას ეუბნებოდენ, ყოველ პასუხზე, რომელსაც იგი იძლეოდა, რა გრძელი იყო მერე ეს წუთები! თითქო დრო გაჩერდა და წინ ალარ მიდისო, თითქო სადილის ზარი სულ ალარ აპირებდა დარაწკუნებას! სერ ევერარდი სასოწარკვეთილებით მისჩერებოდა პატარა არსებას, რომელიც დინჯათ გადადიოდა დიდი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში და ყოველ მის პირის გაღებაზე გული უსკდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, გეგონათ, ველურებს ნახავდით?—ჰკითხა ჯორჯს ერთმა სტუმარმა.

— ბიძია ჩარლსმა ასე მითხრა.—მიუგო ბავშმა.

— კიდევ ცამეტი დარჩა!—შეუმჩნეველათ ამოიოხრა სერ ევერარდმა.

— ძალიან გეწყინათ რომ იმედები არ გაგიმართლდათ?—ეხუმრა მეორე.

— რასაკვირველია!—გულ უბრყვილოთ მიუგო ჯორჯმა.—რა სასიამოვნოა აბა შავ ტანისამოსში გამოწყობილი სტუმრების ნახვა!

— თორმეტი დარჩა!—გამოითვალა სერ ევერარდმა.

— ბიძა ალბათ გეხუმრათ!—შენიშნა მესამემ.

სერ ევერარდმა აღელვებით იატაკზე ფეხი დააბაკუნა.

— ძალიან სულელური ხუმრობაა!—გამოაცხადა ბავშმა. და შამაც სრულიად დაეთანხმა ამაზე გულში.

ბოლოს სერ ევერარდის ტანჯვა გათავდა როგორც იქნა. სასადილო ოთახიდან ზარის წკარუნი მოისმა და მამამ თავისუფლათ ამოისუნთქა, შვილი რომ კარებში გასული დაინახა.

მაგრამ მაინც მთელი საღამო ველარ მოისვენა სერ ევერარდმა და კარგ გუნებაზე ველარაფრით ველარ დადგა. - ჯერ კიდევ ძალიან წუხს ცოლის სიკვდილს!—ერთი მეორეს ჩუმათ ეუბნებოდენ სტუმრები.

(გაგრძელება იქნება).

ელ. წერეთელი.



663

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელ განთქმული პოეტი-მეზღაპრე.

ანდერსენი.

(დასასრული.)

ატარა ანდერსენზე სიყმაწვილეში ეარეშე ცხოვრება ბევრ სხვა და სხვა შდაბეჭდილებას ახდენდა. სხვათა შორის ის დაჰყავდათ სტუმრათ დამწყვდეულ ტუსაღების მეკარესთან. ყმაწვილი შიშით შესცქეროდა ამ სახლს და ეგონა, რომ ეს ციხე—კოშკია გროვა ავაზაკებისაა. როდესაც ყმაწვილმა ერთხელ დაინახა ორი ტუსაღთაგანი, რომელნიც ემსახურებოდენ ამ მეკარეს საშინლათ განცვიფრდა, სადილს არ მიეკარა. ეგონათ ავათ გახდაო და ლოგინში ჩააწვინეს; ის კი არა, იმას ძარღვები აშლოდა და წარმოედგინა თავი სადღაც უცნაურ ციხე-კოშკში გარს შემორტყმული დევებით და ყაჩაღებით.

ზემოთაცა ვთქვით, რომ ანდერსენი მეტის მეტათ ფანტაზიით აღგზნებული ბავში იყო. ერთ მაგალითს კიდევ მოგიყვანთ აქა: მისი ბებია იყო მიყენებული პატარა ბაღთან, რომელიც ეკუთვნოდა საავათმყოფოს და მოხუცებულთა თავშესაფარს. ყოველ შაფათობით ბებია უზიდავდა ყმაწვილს ყვავილებს და ყმაწვილიც ხშირათ მოხუცებულებთან თავშესაფარში დაიარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ ყველას საშინლათ უყვარდათ ყმაწვილი და სულ იმას გაიძახოდენ: ეს ყმაწვილი სწორეთ ანგელოზია, ამ ქვეყნათ მცხოვრები არ არისო.

ყმაწვილს გაეგო ექიმებისაგან, რომ ყოველ ადამიანს აქვს გული, ფილტვები, წელები და სხვა. და თავის ფანტაზიით გატაცებული მოუყვა ამ მოხუცებულებს ლექციების კითხვას ადამიანის შიგნეულობის მოწყობაზე და ისე გაიტაცა ამ კითხვამ, რომ მოჰყვა თავის ფანტაზიით ადამიანის მოყვანილობის ხატვას კარებზე. მოხუცნი გაოცდენ მისი ცოდნით, გულ მოდგინეთ უსმენდნენ და მერე თითონაც მოუყვენ სხვა და სხვა ზღაპრებს. ეს ზღაპრები ანდერსენს ბოლოს ძალიან გამოადგენ.

საოცარი კეთილი, სიმართლის მოყვარე და კაი გულის ყმაწვილი იყო ანდერსენი. იმის ხასიათი ყველას აოცებდა.

ერთხელ ანდერსენი აგროვებდა ყანაში მიტოვებულ თავთავებს. უცბათ ამ ყანის მემამულის მოურავი ბოროტი და უწყალო მივარდა ბავშს წკეპლით საცემრათ.

ყმაწვილმა მოჰკურცხლა, მაგრამ ფეხსაცმელებმა უღალატეს, ის მოედო რალასაც და ყმაწვილი წაიქცა.

მოურავმა ის იყო მოიმარჯვა წკეპლა, უნდა დაერტყა, მაგრამ ყმაწვილი ფეხზე წამოხტა, მოურავს პირდაპირ თვალებში შეხედა და თქვა:

— შენ როგორ შეგიძლიან რომ მცემო? განა ღმერთი არ გიყურებს?...

ეს თქმა იყო და უგულო, სასტიკი კაცი ერთბაშათ მოლბა, დაუყვავა ყმაწვილს, მოეალერსა და ბოლოს ფულიც აჩუქა.

პატარა ანდერსენი მთელ დღეს თავისთვის ჩუმათ თამაშობდა, უფრო ოცნებაში ატარებდა დროს, მას გაგიჟებით უყვარდა დედ-მამა, მაგრამ მამას იბრალებდა უფრო, რადგან ზოგჯერ მოწამე იყო მისი მწუხარებისა.

ხარაზთან ერთხელ შევიდა პატარა გიმნაზისტი ჩექმების შესაკეთად. ხარაზმა ზომა აიღო და გააცილა ყმაწვილი კარებამდის. მერე ამოიოხრა ერთი საშინლათ და უთხრა შვილს:

— ჩემო განსო, ცხოვრება ზოგჯერ სულ სხვანაირათ მოიწყობა ხოლმე. მეც ხომ შემეძლო მაგისავით გიმნაზისტი ვყოფილვიყავ, მესწავლა და კაცათ გამოვსულვიყავ, თორემ ახლა რა ვარ —უბრალო ხარაზი.

მოხუცს ცრემლები მოადგა თვალებზე, ხელები მიიფარა სახეზე და მოჰყვა ტირილს.

ყმაწვილზე ძალიან იმოქმედა ამ ამბავმა და თავის სიცოცხლეში მუდამ ახსოვდა ეს.

როდესაც ბავშს სწავლის დრო დაუდგა ანდერსენი მიაბარეს ერთ მოხუცებულ ქალს ანბანის სასწავლებლათ, მოხუცებული საშინელი სასტიკი რამ იყო, ყმაწვილს უწყალოთ წკეპლავდა ისე, რომ დედ-მამა იძულებული გახდა გამოეყვანათ და სხვაგან მიებარებინათ.

ბავში სხვებზე ისეთი პატარა იყო, რომ როცა გაკვეთილი თავდებოდა და ყმაწვილები მოჰყვებოდენ თამაშობას, მასწავლებელს ეგონა, რომ ბავშს გათელავენო და ხელ დაჭერილი დაჰყავდა.

ბავში საშინელი სუსტი აგებულებისა იყო, ერიდებოდა ყველაფერს. როდესაც ამხანაგები ეზოში დარბოდენ, ცელქობდენ, თამაშობდენ, ის მოკუნტული კლასში დარჩებოდა, სადაც სიჩუმე და სიწყნარე იყო. მართალია ის ყველას ერიდებოდა, მაგრამ ამხანაგები სულით და გულით უყვარდა.

ერთხელ ერთი შაგირდი დასაჯეს, რადგან გაკვეთილი არ იცოდა. ანდერსენს ისე შეეცოდა, რომ უცბათ მოჰყვა ტირილს და ამის ხათრით იპატიეს შაგირდს.

თუმცა ანდერსენის დედ-მამა ღარიბები იყვენ, მაგრამ ყმაწვილს არაფერს აკლებდენ, ულოლაებდენ, არაფერს ზოგავდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის!. კარგათ და ლამაზათ აცმევდენ. მამის ტანისამოსს დედა ისე ლაზათიანათ გადაუკეთებდა, ისე მორთავდა ამ უბრალო ტანისამოსს, ყელსე დიდ შარფს შემოაკრავდა, თმას კოხტათ გადუბარცხნიდა, რომ იტყოდით ბავში სწორეთ დახატულიაო.

ანდერსენი იზრდებოდა ღვთის მოყვარე და ცრუ მორწმუნე ოჯახში, რადგან დედა, ბებია და ყველა მახლობელი უმეცრები იყვენ, ხოლო მამას ჰქონდა ნამდვილი, გულ წრფელი რწმუნება.

— სად არი ეშმაკი! ეშმაკს რა უნდა ჩვენთან, ეტყოდა ხოლმე ის თავის შვილს.

რასაკვირველია ყველა შინაურებს ის ცოდვილ კაცათ მიაჩნდათ. ყმაწვილი ისე იყო დედის გავლენის ქვეშ, რომ მაშინვე იწყებდა მხურვალეთ ლოცვას, რომ ღმერთს ეპატიებინა მისი მამისთვის ამისთანა ცოდვები.

ამ დროს დანია დაუკავშირდა საფრანგეთის ხელმწიფეს ნაპოლეონს. მოხუცებული ანდერსენი თაყვანს სცემდა ნაპოლეონს და გადასწყვიტა ჯარის კაცათ შესვლა.

საშინელ გაჭირებაში ჩავარდენ დედა-შვილნი, სანამ ანდერსენი სახლში დაბრუნდებოდა. მოხუცებული სულ დაავათმყოფებულიყო, ვერ აეტანა სამხედრო ცხოვრება და მალე მოკვდა. საბრალო, ცხოვრებით უკმაყოფილი, გამოესალმა სიცოცხლეს, ვერ მოესწრო დამტკბარიყო საყვარელი შვილის სიხარულით და მისი დიდების ნახვით.

დარჩა ყმაწვილი მარტოთ მარტო, უპატრონოთ, დედა დადიოდა დღიურათ სამუშაოთ—სარეცხზე, რომ ლუკმა პური ეშოვნა. ყმაწვილი ამ დროს იჯდა სახლში, ეთამაშებოდა დედოფლებს, ჰკერავდა მათთვის კაბებს, უმართავდა წარმოდგენებს, უთხზავდა პიესებს და თიეატრსაც თამაშობდა.

გამხდარი, მალალ-მალალი, გრძელი ქერა თმებით, უქუდოთ და ქალამნებით ხედავდა მაშინ ყველა მას—მომავალ სახელ განთქმულ პოეტ-მეზღაპრეს.

665

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ხშირად შედიოდა ხოლმე მეზობელ მღვდლის ქვრივთან. იქ ბევრ კაი წიგნებს პოულობდა საკითხავათ. სხვათა შორის შექსპირის ტრაღედიებს წაიწყდა და მაშინვე წარმოადგინა თავის დედოფლების თეატრში.

ყველა მეზობლები ემდურებოდენ ყმაწვილის დედას, რომ მან განს თავი ააწყვეტინა და რომ ის უსაქმოთ დაეხეტება. ოჯახის მახლობლებმა ბევრი ფიქრის და რჩევის შემდეგ გადასწყვიტეს ყმაწვილი მიებარებინათ მაუდის ქარხანაში.

თავდაპირველათ საქმე კარგათ წავიდა, მუშებმა ძალიან შეიყვარეს განსი, ის თავისი ტკბილი ხმით უმღერდა სიმღერებს და უამბობდა ყველა წაკითხულს.

მამასავით ის ბუნებით ნაზი, მორიდებული და მორცხვი ბავში იყო. ვერ იტანდა მუშების ლაზღანდრობას და ერთხელ, როდესაც ისინი გაეხუმრენ უგვანოთ—ყმაწვილმა ველარ აიტანა და საშინლათ იწყინა. განსი ტირილით გამოვარდა ქარხნიდან. ამითი გათავდა მისი მუშაობა ქარხანაში.

ანდერსენი რომ ჩადგა მეთოთხმეტე წელში დაუწყო დედას თხოვნა გამიშვი ქალაქ კოპენგაგენში ბედის საცდელათაო. დედას კი სურდა შვილი ქარგლათ მიებარებინა.

— რა გინდა იმ ქალაქ კოპენგაგენში? ეკითხებოდა დედა.

— უნდა სახელი გავითქვა. მართალია პირველათ ბევრი დაბრკოლება და ვაი ვაგლახი გადამხდება, მაგრამ მერე, იმედი მაქვს, სახელს მოვიბოჭავო.

საშინლათ უნდოდა ანდერსენს თავი დაეხწია ოჯახიდან, გაგცეულიყო კოპენგაგენში. რომ ვერა გაუვიდა, დედის წინ დაიჩოქა, ტიროდა, ხელებზე ჰკოცნიდა და ემუდარებოდა გამიშვიო. ბოლოს დედამ ველარა გააწყოლა და წასვლის ნება მისცა.

განსი იმიტომ უფრო იწეოდა კოპენგაგენში, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინეთ მათ სოფელში მოვიდენ კოპენგაგენის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო თეატრის მსახიოები. ახალ გაზდა ანდერსენი დაუმეგობრდა მათ. ხან და ხან ათამაშებდენ კიდეც ყმაწვილს თეატრში.

მისი თეატრის სიყვარულმა, მშვენიერმა ხმამ, ლექსების საგანგებო გამოთქმამ მიიზიდა მისკენ მსახიობების ყურადღება. ეს იყო მიზეზი რომ ანდერსენი სრულიად გაიტაცა თეატრმა.

წასვლის დღეს დედამ შეუკრა ბარგი რაც რამ ებადა და შვილი გააცილა ცოტა მანძილზე. განსი ჩაჯდა დილიჟანში, ცხენები დაიძრნენ და ყმაწვილი პირველათ დარჩა მარტოთ მარტო უცნობ ხალხში, სადაც არავინ ეგულებოდა გულ შემატკივარი.

კოპენგაგენში ანდერსენმა დაიჭირა პატარა ოთახი და მაშინვე გაემართა თეატრის უფროსთან, მაგრამ მან გადაჭრით უარი უთხრა. საშენო ადგილი არა მაქვსო. გავიდა ორი-სამი დღე და ანდერსენს რაც ფული ჰქონდა სულ გამოელია. ამ გვარ გაჭირებაში რომ ჩავარდა უნდოდა სადმე სახელოსნოში შესულიყო, მაგრამ ამ დროს მოაგონდა კოპენგაგენის კონსერვატორიის გამოჩენილი დირეკტორი სიბონი.

თუმცა ანდერსენს ხასიათი მორიდებული ჰქონდა გაჭირებამ გააბედინა მიემართა ამ კაცისთვის და სწორეთ კაი დროსაც მივიდა ის სიბონთან. სიბონი აღტაცებული იყო ანდერსენის ხმით, დაჰპირდა სიმღერას გასწავლიო. თანაც თითონ და მის მეგობრებმა გამოიღეს ცოტაოდენი ფული გაჭირებული ყმაწვალის საშველათ და ამით მოიგეს მისი გული.

მაგრამ დიდ ხანს არ გასტანა ყმაწვილის ბედნიერებამ. უცბათ ამის ხმა დაეკარგა და ამასთანავე გაქრა მისი ყოველი იმედები.

გაჭირებაში ჩავარდნილმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი და მიმართა ახლა იმ დროის გამოჩენილს პოეტს გულბერგს. პოეტმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო და თავის მეგობარ მწერლებში მოუგროვა ფული, ან როგორ არ გაუმართავდა ხელს, როდესაც თვითონ ძლივ ძლიობით დაეღწია თავი სიღარიბისაგან.

ანდერსენმა დიდ ხანს ვერ მიაგნო თავის ნაქს და ი რასა

666

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერდა ის: მეორე წელიწადი იყო, რაც მე კოპენგაგენში ვცხოვრობდი—მუდამ უფულოთ ვიყავ... ზოგჯერ საძაგელ დღეში ჩავარდებოდი... საღილობის დროს გავდიოდი სახლიდან, დიასახლის ეგონა რომ საუზმეზოთ ვინმე ნაცნობთან მივდივარ, ის კი არა, ვიჯექ ქალაქის ბაღში და გროშიან პურს ვღეღნიდი. ჩექმები სულ დამიხა, ავდარში მუდამ სველი ფეხებით დავდიოდი, არც სათბუნებელი მქონდა.

ანდერსენს ცოტ-ცოტა ხმა დაუბრუნდა და მაშინვე შევიდა კროსინგინის თეატრის სკოლაში.

ის ახლა პარტიობას აღარ ჩიოდა, ოჯ-ხებში ყველგან მიღებული იყო, სხვათა შორის მას გამოეჩნდა კარგი ნაცნობი მ ხუცებელი ქალი, იურგენსონი ძალიან ჭკვიანი და განთლებული. ერთხელ დაუცინა ყური ანდერსენის ლექსებს და ასეთი დასკვნა გამოიყვანა: თქვენ ნამდვილი პოეტი ყოფილხართ. ათი წლის შემდეგ, რასაკვირველია, მე აღარ ვიქნები ცოცხალი, მაგრამ ჩემ სიტყვებს მოიგონებთ. თვითონ ანდერსენს იმედი არ ჰქონდა, რომ მწერლობით გ ეთქვა სახელი და მიესწრაფებოდა თეატრისაკენ, —იქნება თამაშობით ლუკმა პური ვიშოვოო.

ბევრნი ცდილობდნენ ეშველათ ანდერსენისთვის და გაურიგეს მეფე ფრედრიკთან ყოველ თვიური შემწეობა და გიმნაზიაში ის უფასოთ მიიღეს. ანდერსენმა მიჰყო ხელი ისე მუყაითად და გულით სწავლას, რომ სწორეთ გასაკვირველი იყო, მაგრამ სწავლა უძნელდებოდა, რადგან არ იყო არც დაჩვეული და არც მომზადებული.

„სწავლა თანდათან მეძნელება, სწუხდა ანდერსენი თავის თავზე. — თითქმის ველარ შევიძელ. რამდენჯერ ღამღამეობით ამდგარვარ სასწავლებლათ, რომ ვერ მოვრეევივარ სახელმძღვანელოებს, ცივი წყალი გადამისხავს თავზე, ხან გავარდნილვარ ბაღში, რომ ძილი დამეფრთხო.“

ანდერსენმა დასძლია თავს, გაათავა გიმნაზია და ხან ერთ ქალაქში წავიდოდა და ხან მეორეში. ამასობაში გაიცნო ბევრი ვამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენილი მწერლები, რომელთაც შენიშნეს ანდერსენში თავისებური ნიჭი.

დაახლოვებით 1825 წელს ანდერსენი დაბინავდა კოპენგაგენში და დაიწყო თავის ლექსების ცოტ-ცოტა ბეჭდვა ჟურნალებში. ამავე ხანში შევიდა უნივერსიტეტში და გამოსცა თავისი პირველი ნაწარმოები: „სეირნობა ამაგერის კუნძულზე," ეს წიგნი ყველამ ძალიან მოიწონა და რამდენჯერმე გამოსცეს. მერე, შობის დღესასწაულებში, გამოსცა ახალი ლექსები, ამ ლექსებსაც საზოგადოება ალტაცებით მიეგება.

განსი ანდერსენი მართლა რომ იშვიათი ხასიათისა იყო. მისი გულ კეთილობა, მისი ალალ მართლობა სწორედ გასაკვირველი იყო; რაც უნდა შეურაცყოფა მიგეყენებინათ ის ბავშური უმანკოებით არაფერათ ჩააგდებდა

მაგრამ ანდერსენს თავისიანებმა ცუდ უბრალოთ ბევრი წყენა და ვაი ვაგლახი მიაყენეს; მათი შური და ბოროტობა, ყმაწვილის პოეტიური გულის გაუგებლობა უწამლამდენ ანდერძენს სიცოცხლეს, ტანჯამდნენ და აწამებდენ ამ ადამიანს მაშინაც კი, როდესაც უცხო ხალხი ადიდებდა იმის, როგორც უდიდეს პოეტს. ეს ვაებატონები ყველაფერს წუნსა სდებდენ, თუმცა დაიბეჭდებოდა თუ არა მისი თხზულება მაშინვე ხოლმე სხვა და სხვა ენებზე თარგმნიდენ. ანდერსენი ვერ ეიტანდა ამოდენა დავიდარაბას, რომ ზოგჯერ თავი არ დაუბნია საამბლავარ გარეთ მოგზაურობით. ამის ფულს მეფე ხოლმე უწყალობებდა.

ანდერსენი დიდხანს არ აქცევდა ყურადღებას ზღაპრებს, ხოლო ბოლოს შეამჩნია, რომ ამგვარი წერის ნიჭი ჰქონებია.

პირველათ უცაბედათ მოუვიდა თავში დაეწერა ერთი წიგნაკი სახელათ: „სურათებიანი წიგნი უსურათოდ" ამ წიგნაკმა გამოიწვია მისი ბოლოს განთქმული ზღაპრები. მასში გამოჰყავდა უცნაური სახელებით ადამიანები, გულ წრფელათ ასწერდა რასაც ხედავდა და რაც თავს გადახდებოდა, ამითი მის ზღაპრებს ფასი დაედოთ და ძალი და პატარა ყველა გატაცებით კითხულობდა ამ ზღაპრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელ განთქმული პოეტი მეზღაპრე

როდესაც ეს ზღაპრები ცალკე წიგნათ გამოვიდა ყველამ კარგად ნახა, რომ ამისთანა ნიჭს ველარა დაუდგებოდარა წინ. იმის მოწინააღმდეგებმა ყველამ თავი მოიხარა და ველარ ბედავდენ გაკიცხვას: თუმცა ზოგჯერ ადრინდელივით ზოგი გაზეთები და ჟურნალები წუნს სდებდნენ იმის ნაწერებს, მაგრამ ანდერსენი თავისში ისეთ ძალას ჰ წერის სიყვარულს პოულობდა, რომ ზღაპრების წერამ ის გაიტაცა და თანდათან ამ გვარ წერის ხალისში შევიდა.

ყოველ საშობოოთ გამოდიოდა მისი ახალ ახალი ზღაპრების წიგნი ისე რომ ჩვეულებათ გაუხდათ ყველას ჩუქება მისი ზღაპრებისა შობის დღესასწაულებში.

ანდერსენი სამოც წელიწადს რომ გადასცილდა, მოიწადინა თავისი დედა-ქალაქის ნახვა. პატარა ქალაქი ოდენიე დიდის ალტაცებით მიეგება თავის სახელ განთქმულ განს. ეს იყო 1867 წ. ბედნიერება, რომელსაც ასე დიდხანს ეძებდა უკვე მოეხვეჭა. ახლა ის სახელ განთქმული და გამოჩენილი მწერალი იყო, მთელი ქალაქი გააჩირაღდნეს, შენობები ყვავილებით და ხალიჩებით მორთეს. ყველასთვის სახსოვრათ დარჩა მისი მეფური დახვედრა.

უკანასკნელი სულის ამოსვლამდის ანდერსენი მუშაობდა და დიდი განძი დაუტოვა ბავშებს, ყველა ალტაცებით კითხულობდა და ახლაც კითხულობს მის ზღაპრებს.

ბევრი მისი ზღაპრები ქართულათაც არის გადმოთარგმნილი. მაგალითათ ჯეჯილში იყო დაბეჭდილი; დედა, კოპლი, გვირილა და ტოროლა და ბევრი სხვა. ცალკე პატარა წიგნაკებათაც არის გამოცემული, ახლა იბეჭდება „ჯეჯილში“ მისი შესანიშნავი წიგნაკიდან — სურათი უსურათებოთ — მთვარის მოგზაურობა.

შარშან შესრულდა სწორედ ასი წელიწადი მას აქეთ, რაც გარდაიცვალა სახელ განთქმული ანდერსენი და ქალაქ კოპენგაგენში აუგეს ძეგლი. ანდერსენს მარცხენა ხელში უჭირავს ქალალდი და მარჯვენა ხელი აუშვერია ისე, თითქოს ამბობდეს: სსუ! ჩუმათ ყმაწვილებო, დამიგდეთ ყური, მინდა გიამბოთ ახალი ზღაპარი.“

ან. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

ფიო ჩიტაძე.

ამძიმოა, ძვირფასო მკითხველო, დაკარგვა ისეთის კაცისა, რომლის აზრი, ფიქრი და მთელი მოღვაწეობა ხალხის კეთილ დღეობისა და ბედნიერებისათვის იყო მიმართული. დიახ, სამძიმოა ესეთის კაცის დაკარგვა, განსაკუთრებით ქართველებისათვის. სამწუხაროდ, ქართველები ჯერ ჯეროობით ძლიერ ღარიბნი არინ ჰეშმარიტ და ხალხისათვის თავდადებულ მოღვაწეებით და ისეთაც

ამ მცირე რიცხვოვან გუნდის შემცირება დიდ უბედურებათ, დიდ დანაკლისათ უნდა ჩაითვალოს მთელ ქართველობისათვის.

ესეთი ჭეშმარიტი მოღვაწეების დაკარგვა სახალხო მწუხარებას, სახალხო გულის ტკივილს იწვევს.

განსვენებული შიო ჩიტაძის სიკვდილმა ნათელ ჰყო ხალხის ეს განუსაზღვრელი მწუხარება, ხალხის ეს ჭეშმარიტი გულის ტკივილი.

ჩვენი სამშობლოს თვითოეული მივარდნილი კუთხეც კი გულამოსკვნილი დასტიროდა ვერაგულათ მოკლულს შიო ჩიტაძეს და წყევლა კრულვით იხსენიებდა მთავრობის ჯალათებს, რომელთაც ასე უსირცხვილოთ გამოასალმეს წუთის სოფელს ხალხისათვის თავდადებული ახალგაზდა მოღვაწე. შენ, ჩვენო ძვირფასო პატარა მკითხველო, შეიძლება არც იცოდე, ვინ იყო განსვენებული შიო ჩიტაძე და ამიტომ მოკლეთ გაგაცნობთ მის ვინაობას.

განსვენებული შიო ჩიტაძე დაიბადა 4 თებერვალს 1873 წელს ქ. გორში, საცა განსვენებულის მამა ალექსი ჩიტაძე ხელოსნათ იყო. შიოს მშობლები მეტათ ღარიბათ სცხოვრობდენ, მაგრამ ამ სიღარიბეში შვილების აღზრდა მაინც არ ავიწყდებოდათ.

ღარიბმა მშობლებმა პატარა შიო გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. მასწავლებლების მოწმობით შიო სასულიერო სასწავლებელში მიუხედავათ უკიდურესს სიღარიბესი მეტის წარმატებით სწავლობდა. მთელს სასწავლებელში შიოზედ უნიჭიერესი მოწაფე არ მოიძებნებოდა. ნიჭიერმა მოწაფემ კურსი, რასაკვირველია, მეტის წარმატებით დაამთავრა.

ღარიბ მშობლებს განზრახვა ჰქონდათ ახლად კურს დამთავრებული შიო სამსახურში სადმე მიებარებინათ, მაგრამ სწავლისათვის დამაშვრალი შიო წინ აღუდგა მშობლების სურვილს. ახალგაზდა ნიჭიერმა მოწაფემ წარმატებით დაიჭირა ეგზამენები ტფილისის მეორე გიმაზიაში. ნიჭით დაჯილდოვებულმა მოწაფემ გიმნაზიაში ერთბაშად მიიქცია ყველა მასწავლებლების ყურადღება. მასწავლებლები ღრმათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შიო დიდის ნიჭის პატრონი იყო და ამიტომ მეტის პატივისცემით ეპყრობოდენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმნაზია შიომ წარმატებით დაამთავრა და შემდეგ კიევის უნივერსიტეტში შევიდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ.

უნივერსიტეტში განსვენებული შიო საუკეთესო სტუდენტათ ითვლებოდა. შიომ კიევში ჩასვლისთანავე ერთბაშათ მიიქცია მთელი სტუდენტობის ყურადღება. შიო ქართველ სტუდენტობის წრეს განაგებდა და ამხანაგებთან ერთად დაუღალავათ შრომობდა მეცნიერების საფუძვლიანათ შესათვისებლათ.

სტუდენტობის დროს განსვენებულმა ყურადღება მიაქცია პოლონურ ლიტერატურას, რომელიც საფუძვლიანათ შეისწავლა. ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტი იყო შიო, როცა მან პოლონურ გამოჩენილ მწერლის ადამ მიცკევიჩის თხზულებანი კრიტიკულათ გაარჩია. კიევის პროფესორების აზრით ეს კრიტიკული განხილვა შესამჩნევ წვლილათ უნდა ჩაითვალოს პოლონურ ლიტერატურის გამოკვლევათა ისტორიაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განსვენებული შიო მიიწვიეს რამდენიმე საშუალო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად. ყველგან, საცა კი შიო მასწავლებლობდა, მოწაფეები და მასწავლებელი ამხანაგები მეტის სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდენ მას. ყველა სასწავლებლის მოწაფეები და მასწავლებლები გინსვენებულს „ჩვენ ძვირფასს შიოს“ ეძახოდენ.

კიევში განსვენებული, როგორც მეტათ ნიჭიერი და საუკეთესო პედაგოგი, ზაფხულობით განაგებდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებას და თავის სამაგალითო გაკვეთილების მიცემით არა ერთსა და ორს სახალხო მასწავლებელს უნერგავდა გულში სკოლისა და მოზარდ ახალთაობის სიყვარულს..

შიო კიევის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ერთ ერთ დაუღალავ წევრათ ითვლებოდა, საცა საზოგადოების მდივნის და გამგეობის წევრის თანამდებობას ასრულებდა. განსვენებული ამ საზოგადოების რთულსა და პასუხ საგებ საქმეებს ექვსი წლის განმავლობაში უსასყიდლოთ ემსახურებოდა, რის შემდეგაც იკი ამ საზოგადოების საპატიო წევრათ ერთხმათ იქმნა არჩეული.

კიევშივე შიო ნიჭიერ მჭერმეტყველ ლექტორათ ითვლებოდა. სხვა და სხვა საზოგადოებანი და კერძო ინტელიგენტთა წრეე-

ბი ხშირად იწვევდნენ ახალგაზდა ლექტორს ლექციებს წასაკითხათ. ყოველი ლექცია, დამსწრეთა სიტყვით, დიდს აღტაცებას იწვევდა მსმენელთა შორის.

განსვენებული შიო მხურვალე მონაწილეობას იღებდა კიევის მოწინავე ჟურნალ გაზეთებში, საცა იგი აბეჭდინებდა მრავალ წერილებს.

ამ ორი წლის წინათ განსვენებული მოიწვია რუსული ენის მასწავლებლათ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე კომიტეტმა.

შიო ტფილისში ჩამოსვლის თანავე გიმნაზიის გამგეთ იქმნა დანიშნული და ამ ორი წლის განმავლობაში მან დიდი სიყვარული და პატივის ცემა დაიმსახურა მთელი სასწავლებლისაგან.

განსვენებულის მეცადინეობით სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ძირითადი ცვლილება მოხდა. შიო, როგორც ნიჭიერი პედაგოგი და ღრმა მცოდნე თანამედროვე ცხოვრების ვითარებისა, მომხრე იყო თავისუფალ სულისა. ამ აზრების მიხედვით ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიაშიაც შემოიტანა ჯერ ჯერობით რამდენიმე ძირითადი ცვლილება, რაიცა მეტად ხელს შეუწყობს თავისუფალ სკოლის კეთილათ დამყარების საქმეს.

განსვენებული თბილისში ყოფნის დროსაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულსა და რუსულს მწერლობაში. ამ „ორი წლის განმავლობაშა შიომ დასტამბა „ცნობის ფურცელში“ და „შრომაში“ მრავალი საგულისხმიერო წერილი. ქართველი საზოგადოება დიდის ინტერესით კითხულობდა შიოს ნაწერებს.

მხურვალე მონაწილეობა მიიღო განსვენებულმა შიომ ქართველ პედაგოგთა საზოგადოების დაარსების საქმეშიაც.

როგორც ადამიანი, შიო დაუფასებელი კაცი იყო. შიოს პატიოსნება, გაბედულობა, პირდაპიროობა, გულწრაფობა ყველას ერთიანათ ჰხიბლავდა. ესეთი პატიოსანი და უანგარო კაცი ვერაგულათ გამოასალმეს სიცოცხლეს მტარვალებმა 4 ივლისს ტფილისის კერძო გიმნაზიის აკლების დროს.

სიუკუნოთ იყოს ხსენება შენი კაცობრიობისთვის თავდადებულო შიო!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილმანი

გამოცანა

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

ფეხზედ ვსდგევარ მე ამაყად,
არე მარეს ვუცქერ ლხენით,
ყველასათვის ერთი გული მაქვს,
არვის ვესალმები წყენით.
ვინც. მოწიწებით მეწევა
მას ავავსებ სურნელებით,
და ვინც მტრულად დამეცემა
მას მე მოვიგერებ კბენით.

შარადა

(მისგანვე წარმოდგენილი)

ნახევარი სიტყვა წყალია
ზამთრით ნელთბილი მდინარე,
ბოლო მისი მინდორია
შუა ტყეებში მძინარე,
მრთელი—თელავის მაზრაში
სოფელი უჩინარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამოვა 1906 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი დღეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს ჯეჯილის ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა-და-სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გავ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა